ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7053813

ნომერი: AR11035598

თარიღი : 17.05.2024

გაცემის თარიღი : 29.05.2024

გაცნობის თარიღი : 29.05.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბურძგლა , (ყოფ. შმიდტი) , N 68 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბურძგლა , (ყოფ. შმიდტის) N66;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაპანაძე პ/ნ 01008035590
- ნუცუბიძის მე-4 მ/რ, კორ. 26,ბინა 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 17 მაისს №AR11035598 განცხადებით მომართა პაატა კაპანაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 13

სექტემბრის №5593358 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 25 მარტის №4909444 ბრძანებით, №01.10.14.024.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. აღნიშნული პროექტის საფუძველზე სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებით, გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2023 წლის 06 სექტემბრის №6642844 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 06 სექტემბრიდან 2025 წლის 06 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის შპს „ზი ლოფთის'' (ს/ნ: 405475016) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „კოდის“ (ს/ნ: 402050016) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია - №882024473707, მომზადების თარიღი: 17/04/2024) თანახმად №01.10.14.024.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს, შპს „კოდი“ (ს/ნ: 402050016).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22041626, მომზადების თარიღი: 08/04/2022) შპს „კოდის“ (ს/ნ: 402050016) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს პაატა კაპანაძე (პ/ნ: 01008035590). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობანაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით №01.10.14.024.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „კოდი“ (ს/ნ: 402050016), რომლის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი პაატა კაპანაძე (პ/ნ: 01008035590), თავად მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „კოდის“ (ს/ნ: 402050016) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ თანახმად, ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ზი ლოფთის'' (ს/ნ: 405475016) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „კოდი“ (ს/ნ: 402050016).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის №5593358 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge